განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

26, 27 დეკემბერი, 2019 წელი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია მოსაშვილი, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

დიანა მჭედლიშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

ანა ბაცანკალაშვილი, სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

2020

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვიტოს N 53 გადაწყვეტილებით, თსუ-ს 6 წლის ვადით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 22 197 სტუდენტით.
2019 წლის 11 სექტემბერის უსდ-ების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი N14), მიღებულ იქნა თსუ-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2019 წლის 19 დეკემბერს შემოვიდა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განაცხადი (N1737093) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე.
2019 წლის მონაცემებით, უნივერსიტეტში აქტიური სტუდენტების რაოდენობაა 21566, სტატუსი შეჩერებული აქვს 3248 სტუდენტს, სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების რაოდენობაა 1575, უცხოელი სტუდენტების რაოდენობა - 259. უნივერსიტეტის მიერ აღნიშნულ დასკვნის პროექტზე არგუმენტირებული პოზიციის წერილის თანახმად, ამჟამად თსუ-ში სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა სულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე არის 21713.
უნივერსიტეტი გეგმავს გაზარდოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის სტუდენტების ზღვრული რაოდენობა 4920 ერთეულით (მათ შორის ოთხი წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 2850 სტუდენტის დამატებით მიღება, 500-მდე ვაკანტური ადგილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან აპლიკანტებისათვის, დაახლოებით 400 დამატებითი ვაკანტური ადგილი უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის, 164 ვაკანტური ადგილი მობილობით გადმოსულთათვის და 1000 ვაკანტური ადგილი აღდგენის მსურველი სტუდენტებისთვის.

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა (ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი განაცხადის ფორმა სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით და ვიზიტი)

განაცხადის ფორმასთან ერთდ თსუ-მ დანართების სახით წარმოადგინა სტუდენტთა კონტიგენტის ზრდასთან დაკავშირებული დოკუმენტების ელექტრონული ასლები. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 24 დეკემბერს, N 1224 ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის დასაბუთებას და თანდართულ დოკუმენტაციას. დოკუმენტების ნაწილზე ექსპერტებს წვდომა ჰქონდათ ავტორიზაციის ვიზიტამდე, ხოლო ნაწილი გამოთხოვილ იქნა ვიზიტის პროცესში, რაც უზრუნველყოფილ იქნა უნივერსიტეტის მხრიდან.
ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მოხდა დოკუმენტების წინასწარი დამუშავება და უსდ-ში ვიზიტამდე მოხდა ექსპერტთა მიერ აზრთა შეჯერება. ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ვიზიტის დროს დასაზუსტებელი საკითხები. უსდ-ში ვიზიტის დროს განხორციელდა ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან წინასწარ შედგენილი და შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერთა ვიზიტი თსუ-ში განხორციელდა 2019 წლის 26 და 27 დეკემბერს; უნივერსიტეტმა შექმნა სათანადო სამუშაო გარემო ექსპერტებისათვის. 2 დღიანი სამუშაო დღის შემდეგ, ექსპერტთა მიერ მოხდა ზოგადი მიგნებების გაცნობა უნივერსიტეტისათვის.

სტუდენტების არსებული რაოდენობა ინსტიტუციაში: 21 713
რამდენი სტუდენტის დამატება სურს ინსტიტუციას: 4 920

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(გთხოვთ მონიშნოთ ერთ-ერთი)*

☒ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ინსტიტუცია მზად არის სტუდენტთა ზემოთ მოცემული რაოდენობით გასაზრდელად;

☐ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ინსტიტუცია მზად არ არის სტუდენტთა ზემოთ მოცემული რაოდენობით გასაზრდელად.

ხელმოწერები

ია მოსაშვილი

დიანა მჭედლიშვილი

ანა ბაცანკალაშვილი

რეკომენდაციები

- საჭიროა ფაკულტეტების დონეზე ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციების გაძლიერება;
- ფაკულტეტების დონეზე უფრო ინტესიური მუშაობა და ჩართულობა, ხარისხის სამსახურის და ფაკულტეტის საბჭოების მუშაობაში;
- ფაკულტეტების მიხედვით სტუდენტთა რაოდენობების დაგეგმვა;
- უნივერსიტეტმა შეიმუშავოს კურსის წამყვანი პროფესორისა და სემინარების წამყვანი ლექტორების მიერ სტუდენტებისთვის მათ მიერ მიღწეული შედეგების შესახებ ინდივიდუალური განმავითარებელი შეფასების მიცემის ეფექტიანი მექანიზმი.
- უნივერსიტეტმა დანერგოს აკადემიური პერსონალის მიერ ელექტრონული ჟურნალის ადმინისტრირება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტებისთვის უკუკავშირის და შეფასების შედეგების დროული მიწოდება.
- საჭიროა საერთაშორისო სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო პროცესებში;
- სტუდენტური პროექტების ეფექტურობის შეფასების მიზნით მუშაობის გააქტიურება;
- სტუდენტთა თვითმმართველობაში მეტი სტუდენტის ჩართვის შესაძლებლობა, მათ შორის საერთაშორისო სტუდენტების;
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება/ ადაპტირება (სტუდენტური სივრცეების შექმნა, ადაპტირება სსსმ პირებისთვის);
- სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემის განვითარება მონაცემების მდგრადობის თვალსაზრისით, ასევე რესურსების დაზოგვის მიზნით და ეკოსისტემაზე ზრუნვის მიზნით, რაც ასევე უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ინდივიდუალური განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას;
- სტუდენტების მიერ შესრულებულ ნაშრომებში პლაგიატის დადგენისა და პრევენციის მექანიზმების სრულად დანერგვის უზრუნველყოფა.

რჩევები

-

საუკეთესო პრაქტიკები

- ინსტიტუციური ეფექტიანობის ინდიკატორების დადგენა;
- ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სწავლისა და სწავლების თემატურ ჯგუფში მონაწილეობა;
- კურიკულუმის კომიტეტის ჩამოყალიბება და მათ შორის სტუდენტთა და დამსაქმებელთა ჩართულობა;
- აკრედიტაციის პროცესების სიმულაცია;
- კოლეგიური შეფასებები პროგრამული აკრედიტაციის სიმულაციის ჭრილში, რაც საგრძნობლად ზრდის პროცესში ჩართული პირების მოტივაციას, ამკვიდრებს და აღრმავებს თანამშრომლობით გარემოს და ხელს უწყობს პროგრამების შემდგომ დახვეწა-განვითარებას.

1. შეაფასეთ რამდენად უკავშირდება ინსტიტუციის მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა უსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

☒ უკავშირდება ☐ არ უკავშირდება ☐ ნაწილობრივ უკავშირდება

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

თსუ-ს, როგორც მრავალდარგოვან კვლევით უნივერსიტეტს, წარმოადგენილი აქვს მისია, რომლის მიხედვითაც ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა არის მისი ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი, ისევე, როგორც ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელება; კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარება; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა და თავისუფალი სამყაროს ღირსეული წევრობა. მისიაში წარმოდგენილი უნივერსიტეტის ღირებულებების მიხედვით, ის ეფუძნება კრიტიკულ, შემოქმედებით და პროგრესულ აზროვნებას, აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური ეთიკის პრინციპებს, ღია, დინამიურ და გამჭვირვალე ურთიერთობებს. მისიაში ასევე არის უნივერსიტეტის სამომავლო ხედვებია წარმოდგენილი, 2024 წლისთვის, ის საკუთარ თავს ხედავს, როგორც ევროპული ღირებულებების და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით ცენტრს; აქვე არის ის კონკრეტული მიმართულებები, რომელთა უზრუნველყოფა მოხდება საგანმანათლებლო პროგრამების საზოგადოების მოთხოვნებთან და შრომის ბაზართან ჰარმონიზაციის საფუძველზე მუდმივად განვითარებადი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით. მნიშვნელოვანია, რომ მისიაში ჩანს უნივერსიტეტის მიერ გაჯღგაჟღერებული სურვილი ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების გაზრდილი რაოდენობასთან დაკავშირებით. ასევე, ერთ-ერთი ხედვა არის საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული პროცესების ინტერნაციონალიზაცია.

თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება ბოლო წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეფექტიანობისა და საჭიროებათა შეფასების რამდენიმე ფართომასშტაბიან კვლევას და 2011-2017 წლების სტრატეგიის იმპლემენტაციის შედეგად მიღწეული შედეგების ანალიზს. შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ფორმა, სტრატეგიული განვითარების გეგმის

სტრუქტურა, ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები, ამოცანები და ინდიკატორიები. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია სამუშაო ჯგუფი და ასევე, მონიტორინგის ჯგუფი. როგორც წარმოდგენილი ოქმებიდან გაირკვა და დადასტურდა ინტერვიუების დროს,აღნიშნული ჯგუფები მუშაობენ უნივერსიტეტის მიერ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შემუშავება/შემოწმების მიზნით. უნივერსიტეტის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობა, საიდანაც ჩანს, რომ პროგრამების მოდიფიცირება და ახალი პროგრამების დანერგვა არის ერთ-ერთი პრიორიტეტი ინტერნაციონალიზაციასთან და კვლევების განვითარებასთან ერთად.ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი სტუდენტთა კონტიგენტის ზრდას გეგმავს ძირითადად ახალი პროგრამების დამატების მიზნით, განსაკუთრებით ეს ეხება ინგლისურენოვან პროგრამებს, სადაც იგეგმება საერთაშორისო სტუდენტების მიღება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მისია;
- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის თაობაზე”
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის შეხვედრის ოქმები
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტაცია
- „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ”
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

-

რჩევები

-

საუკეთესო პრაქტიკები

-

2. შეაფასეთ ინსტიტუციის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში, მათ შორის თუ როგორ განსაზღვრავს ინსტიტუცია სტუდენტების რაოდენობას პროგრამებზე, რამდენ სტუდენტს მიიღებს ყოველწლიურად სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის გათვალისწინებით, რა წინაპირობების დაკმაყოფილებით და ა.შ. (ამის გათვალისწინებით, გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა):

☒ ინსტიტუციაში არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა შესაძლებლობას იძლევა შენარჩუნებულ იქნას შესაბამისი პირობები სტუდენტთა წარმატებისათვის გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

☐ ინსტიტუციაში არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა შესაძლებლობას არ იძლევა შენარჩუნებულ იქნას შესაბამისი პირობები სტუდენტთა წარმატებისათვის, გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

თსუ-ს ორგანიზაციული სტურუქტურის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ორგანიზებას უკეთებს მისი სტურქტურის დაქვემდებარებაში მყოფი ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების საქმიანობას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის წესი, სადაც გამოთვლილია სტუდენტთა ეფექტური რაოდენობა, რომლთა ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა შესაძლებელია უნივერსიტეტის მიერ. აღსანიშნავია უნივერსიტეტის ცენტრალური ხარისხის სამსახურის ეფექტური მუშაობა და შედეგები, კერძოდ, ამ სამსახურის მიერ შემუშავებული მეთოდებით უნივერსიტეტი ახორციელებს ეფექტიანობის ინდიკატორების დადგენას. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფის ინიციატივები სამსახურთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალების ელექტრონული მიმართულებით მართვის შესახებ. უნივერსიტეტი ჩართულია ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციაში, სადაც მონაწილეობს სწავლისა და სწავლების თემატურ ჯგუფებში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით შექმნილია კურიკულუმის კომიტეტი, სადაც ასევე ჩართულნი არიან სტუდენტები, კურსდამთავებულები და დამსაქმებლები. აღნიშნული კომიტეტის ძირითადი მიზანი არის პროგრამების აკრედიტაციის სიმულაცია. აღსანიშავია, რომ გასააქტიურებელია მუშაობა ფაკულტეტებზე არსებულ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებში, კერძოდ, მათი ჩართულობა როგორც აკადემიურ, ასევე მოწვეულ პერსონალთან, ფაკულტეტების საბჭოების მუშაობაში. აღნიშნული საკითხი, კარგად გამოიკვეთა ფაკულტეტების წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს. ნათლად არ არის წარმოდგენილი ფაკულტეტების მიხედვით სტუდენტების რაოდენობების დაგეგმვის საკითხი. არსებული დოკუმენტების საფუძველზე და ასევე, ინტერვიუს შედეგად, ჩანს, რომ უნივერსიტეტი სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდას გეგმავს, როგორც ახალი, მათ შორის ინგლისურენოვანი პროგრამების საფუძველზე, ასევე, იმის გამო, რომ მან თითქმის მიაღწია სტუდენტთა რაოდენობის არსებულ ზღვარს, რასაც კარგად აჩვენებს ყოველწლიურად უნივერსიტეტში მისაღები კონტიგენტის ზრდის დინამიკა. იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტს ჰყავს სტატუსშეჩერებული სტუდენტებიც, წამოადგენს ერთ-ერთ დასტურს იმისა, რომ მომავალი 4-5 წლის განმავლობაში უნივერსიტეტი საჭიროებს სტუდენტთა კონტიგენტის თანდათანობით ზრდას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესი;
- თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2018 წლის ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- ფაკულტეტებზე ხარისხის სამსახურის ფუნქციების გაძლიერება;
- ფაკულტეტების დონეზე უფრო ინტესიური მუშაობა და ჩართულობა, ხარისხის სამსახურის და ფაკულტეტის საბჭოების მუშაობაში;
- ფაკულტეტების მიხედვით სტუდენტთა რაოდენობების დაგეგმვა.

რჩევები

საუკეთესო პრაქტიკები

-ინსტიტუციური ეფექტიანობის ინდიკატორების დადგენა;
-ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სწავლისა და სწავლების თემატურ ჯგუფში მონაწილეობა;

- კურიკულუმის კომიტეტის ჩამოყალიბება და მათ შორის სტუდენტთა და დამსაქმებელთა ჩართულობა;
- აკრედიტაციის პროცესების სიმულაცია.

3. შეაფასეთ რამდენად უზრუნველყოფს ინსტიტუციაში არსებული პროგრამები სტუდენტთა მომზადებას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში; რამდენად იქნება შესაძლებელი პროგრამებში გამოყენებული დარგის სპეციფიკით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდების განხორციელება და პროგრამებით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა, სტუდენტთა გაზრდილი ოდენობის ფარგლებში (გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა):

☒ ინსტიტუციაში არსებული პროგრამები და სწავლების მეთოდები სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული ოდენობის პირობებში, უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად

☐ ინსტიტუციაში არსებული პროგრამები და სწავლების მეთოდები სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული ოდენობს პირობებში ვერ უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით უნივერსიტეტში ეტაპობრივად მიმდინარეობდა პროცედურების განახლება და გაუმჯობესება. კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ განახლდა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი. აღნიშნულმა დოკუმენტმა მოიცვა: „საბაკალავრო, სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია და დამტკიცების პროცედურა“, „სადოქტორო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია“, „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების დამტკიცებული წესი“, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების პორტფოლიოს წარმოების წესი“ და შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, ულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან. განისაზღვრა ძირითადი პრინციპები, რომელსაც ემყარება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, კერძოდ, გამოიკვეთა მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების საჭიროებების, ასევე ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციების გათვალისწინება; დარგის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინება; სწავლებისა და კვლევის ინტეგრირება; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება და ინკლუზიურობა; კურიკულუმის, სწავლა-სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია. ასევე, დაზუსტდა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების პროცედურა. კერძოდ, მკაფიოდ განისაზღვრა აკადემიური პერსონალის, პროგრამის ხელმძღვანელის, საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის და უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებლობები; შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის დამტკიცების წესი - ნაცვლად აკადემიური საბჭოსი, კომიტეტის შემადგენლობას დაამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუს შედეგები უჩვენებს, რომ დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დინამიკა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარების პროცესში მზარდია. 2019 წელს განხორციელდა პროგრამული კომიტეტების ინტენსიური მუშაობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განახლების პროცესში, კოლეგიალური შეფასებები, საგანმანათლებლო პროგრამების (28 საგანმანათლებლო პროგრამა) შიდა შეფასებები.

შეფასების პროცესში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე და მიღებული რეკომენდაციები და რჩევები აისახება საგანმანათლებლო პროგრამებში. კოლეგიური შეფასებები განხორციელდა პროგრამული აკრედიტაციის სიმულაციის ჭრილში, რაც საგრძნობლად ზრდის პროცესში ჩართული პირების მოტივაციას, ამკვიდრებს და აღრმავებს თანამშრომლობით გარემოს და ხელს უწყობს პროგრამების შემდგომ დახვეწა-განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა დაიწყო და მომავალშიც გეგმავს ახალი საგანმანთლებლო პროგრამების შემუშავებას, მათ შორის, ერთობლივი და ინგლისურენოვანი პროგრამების, რაც არის სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის ერთ-ერთი წინაპირობა.
უნივერსიტეტში საგანმანთელბლო პროგრამები შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისად, სწავლის შედეგები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, ეყრდნობა საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს მისი შემადგენელი ყველა კომპონენტის ლოგიკურ კავშირს და შესაბამისობაშია სფეროს მოთხოვნებთან. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის არასავალდებულო კომპონენტების არჩევის შესაძლებლობას.
საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მოთხოვნების კვალდაკვალ, უნივერსიტეტი გეგმავს პროგრამების ეტაპობრივ გადაყვანას განახლებულ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და კლასიფიკატორის აღმწერით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისად, რაც თავისთავად ითხოვს გარკვეული საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის სტანდარტებით დადგენილ ნორმებთან თანხვედრაში მოყვანას. უნივერსიტეტში მიმდინარე (რე)აკრედიტაციის პროცესებში ხდება ყველა იმ არსებითი მოთხოვნის გათვალისწინება, რასაც განახლებული სტანდარტები მოითხოვს საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით. კერძოდ, 2019 წლის 10 აპრილს მიღებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად, უნივერსიტეტში 2018-2019 წლებში აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები (32 საგანმანათლებლო პროგრამა) მოდიფიცირდა ახალ ნორმატიულ მოთხოვნებთან თანხვედრაში მოსაყვანად, ასევე წინამდებარე მოთხოვნები გათვალისწინებულია შიდა შეფასებას დაქვემდებარებულ 28 საგანმანათლებლო პროგრამაში. ასევე, მაგალითად, 2018-2019 წწ. მედიცინის ფაკულტეტზე განახლდა კურიკულუმის კომიტეტის შემადგენლობა, რომლის მონაწილეობით ფაკულტეტზე მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი პროგრამები) განვითარებაზე მუშაობა ახალ დარგობრივ დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მათ შორის აქცენტი გაკეთებულია კომპეტენციებში ცოდნის, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ინტეგრირებაზე, რაც დასტურდება განახლებული კურიკულუმის აღწერილობით, ამასთან, ინტეგრირებული კომპეტენციების შესაფასებლად დაინერგა ,,OSCE''-ის გამოცდა.
პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს პროექტზე, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების, მექანიზმების და პროცესების ავტომატიზაციას მოიაზრებს. პროგრამული უზრუნველყოფა ითვალისწინებს, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის ფორმირების, ასევე შეფასების და მონაცემების ერთ სივრცეში ინტეგრირებას, რათა შესაძლებელი გახდეს პროგრამის თვითშეფასების ელექტრონული გენერირება და ზემოხსენებული ჰოლისტური მიდგომებით მონაცემთა სინქრონიზაცია. გარდა ამისა, მასში ინტეგრირდება საჭიროებაზე მორგებული თემატური კითხვარები, რაც შესაძლებლობას მისცემს პროგრამის განმახორციელებელ პირებს თვალყური ადევნონ პროგრამის განვითარებას, ანალიზის შედეგები კი იქნება საფუძველი უკუკავშირისათვის, რაც კონკრეტულ პრობლემატურ საკითხებზე სწრაფი და ეფექტური უკუკავშირის მიწოდების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული პროგრამის საშუალებით მოხდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი.
უნივერსიტეტში დამკვიდრებული სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ განმსაზღვრელი

შეფასების ფარგლებში; თუმცა სტუდენტები განმავითარებელ შეფასებას ძირითადად იღებენ სემინარების ფარგლებში, რომლებიც დიდი ჯგუფის შემთხვევაში ხორციელდება რამოდენიმე ლექტორის მიერ მცირე ჯგუფებში. ეს იწვევს იმას, რომ კურსის ძირითადი ლექტორი სრულად არ არის ჩართული სტუდენტებისთვის ინდივიდულაური უკუკავშირის მიცემის პროცესში. კურსის წამყვანი პროფესორის მიერ ინდივიდულაური უკუკავშირის მიცემას ასევე ართულებს ის გარემოება, რომ რიგ შემთხვევებში ლექციების მსვლელობის დროს ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა ბევრად აღემატება 100-ს, რაც პრაქტიკულად ართულებს პროფესორის მიერ სტუდენტებისთვის ინდივიდუალური უკუკავშირის მიცემას მათ მიერ მიღწეული შედეგების შესახებ. ინტერვიუს დროს არ გამოიკვეთა თანამშრომლობა კურსის წამყვან ძირითად ლექტორსა და სემინარების წამყვან ლექტორებს შორის სტუდენტთა პროგრესის და მათთვის უკუკავშირის მიწოდების პროცესში.

უნივერსიტეტში საგამოცდო პროცესებს უძღვება საგამოცდო ცენტრი, რომლის ორგანიზებით წელიწადში დაახლოებით 6000-მდე გამოცდა ტარდება. სისტემა გამოცდილი და გამართულია. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საგამოცდო ცენტრი გეგმავს გააუმჯობესოს გამოცდების ერთიანი პროცესი და მოახდინოს მისი ავტომატიზაცია, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ სასწავლო პროცესში საგამოცდო და შეფასების სისტემის მიმართ ნდობა და მათ დროულად მიიღონ უკუკავშირი. სტუდენტთა გამოკითხვების შედეგები აჩვენებს, რომ გამოკითხულთა (5309 სტუდენტი) თითქმის 71%-მა დაფიქსირაა უმაღლესი (5 ქულა) შეფასება აღნიშნული სისტემის მიმართ.

შეფასების შედეგებთან დაკავშირებით სტუდენტი იღებს უკუკავშირს მოთხოვნის შემთხვევაში. სასწავლო კურსების პედაგოგებთან შერჩევითი გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მათი ნაწილი სარგებლობს დამკვირდებული ახალი პრაქტიკით, რომელიც ითვალისწინებს საგამოცდო ცენტრის მიერ სტუდენტთა ნაშრომების სკანირებული ვერსიების/ასლების მიწოდებას პედაგოგებისთვის და ნაშრომების განხილვას სემინარზე, ტიპობრივი შეცდომების კლასიფიცირებას, განმარტებას და გამოსწორების გზების დასახვას. სხვა შემთხვევაში, სტუდენტს თავად შეუძლია ადგილზევე გაეცნოს პედაგოგის მიერ კომენტირებულ ნაშრომს, კომენტარის სიმწირის შემთხვევაში მიმართოს აპელაციას. აპელაციის შემთხვევაში ნაშრომი განიხილება სააპელაციო კომისიის მიერ სტუდენტის თანდასწრებით. აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ბაზის საშუალებით საგამოცდო ცენტრისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ერთობლივი მუშაობის შედეგად, მოწესრიგდა კომუნიკაცია სტუდენტებთან, კერძოდ, მოიხსნა სტუდენტების საგამოცდო ცენტრში ფიზიკურად გამოცხადების აუცილებლობა აპელაციის საკითხთან დაკავშირებით.

თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტში ეტაპობრივად ინერგება აკადემიური პერსონალის მიერ ელექტრონული ჟურნალის ადმინისტრირება. კერძოდ, პერსონალი დამოუკიდებლად შეძლებს ასახოს სისტემაში შეფასების შედეგები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის მათი შეფასების შედეგების და უკუკავშირის დროულ მიწოდებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტთა სწავლის პროგრესის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს იყენებს რისკის ქვეშ მყოფი სტუდენტების გამოსავლენად და ინდივიდუალური სწავლების საჭიროებების დასადგენად. ყოველსემესტრულად მიმდინარეობს პროგრამების, სასწავლო კურსების განხორციელების ანალიზი ფაკულტეტების დონეზე სხვადასხვა თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით. გარდა ამისა, გაუმჯობესდა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, კერძოდ, sms.tsu.ge და lms.tsu.ge ინტეგრირდა ერთიან ბაზაში. ასევე, გამარტივდა ინფორმაციის მიღების პროცესი. როგორც სტუდენტს, ასევე პედაგოგს შეუძლია თვალყური ადევნოს სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევის პროცესს, რის საფუძველზეც გამარტივებულია სწავლის შედეგების შეფასება სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროების ჩათვლით.

უნივერსიტეტში დანერგილია სტუდენტთა ინდივიდუალური კონსულტაციის სისტემა, რაც წარმოადგენს დიდ ხნის წარმატებულ პრაქტიკასა და გამოცდილებას რისკის ქვეშ მყოფი სტუდენტების აკადემიური მოსწრების ეფექტიანად გაუმჯობესებისთვის. უნივერსიტეტში პერმანენტულად ინიშნება დამატებითი კონსულტაციები კურსის წამყვან პედაგოგთან, რაც დასტურდება ნებისმიერი სასწავლო კურსის სილაბუსით.

საჭიროების შემთხვევაში დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ზოგიერთ ფაკულტეტზე მუშაობს პრაქტიკა, როდესაც დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები, რომელთაც კონკრეტულ სემესტრში არჩეული აქვთ სასწავლო კომპონენტი „პროფესორის ასისტირება“, უძღვებიან სემინარებს, დამატებით მეცადინეობებსა და კონსულტაციებს უტარებენ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით. სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებისა და მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების შემთხვევები დაფიქსირდა მიმდინარე წლის მაისი-ივლისის პერიოდში შვიდივე ფაკულტეტის 14 საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების დროს. მაგალითად, ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის შიდა შეფასებისას, ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრებისას, ორივე მხარემ, როგორც სტუდენტებმა, ისე აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, რომ ხშირად ხდება დამატებით პრაქტიკუმების, სემინარებისა და კონსულტაციების ორგანიზება, რაც ემსახურება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასებისას გამოვლენილი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები სტუდენტთა ინდივიდუალური კონსულტირებისა და მათი სწავლის შედეგების გაუმჯობესების კუთხით დადასტურდა 2019 წლის გაზაფხულის სემესტრის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებითაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის დადგენილება №100/2019 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების და შედგების ანალიზის ნიმუში;
- უნივერსიტეტის საგანმანთლებლო პროგრამები;
- მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განახლებული აღწერილობა;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიში;
- ელექტრონულ ჟურნალში მუშაობის სახელმძღვანელო;
- აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 ივნისის დადგენილება #71/2018 „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი“;
- თსუ-ს განაცხადის ანგარიში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- უნივერსიტეტმა შეიმუშავოს კურსის წამყვანი პროფესორისა და სემინარების წამყვანი ლექტორების მიერ სტუდენტებისთვის მათ მიერ მიღწეული შედეგების შესახებ ინდივიდუალური განმავითარებელი შეფასების მიცემის ეფექტიანი მექანიზმი.
- უნივერსიტეტმა დანერგოს აკადემიური პერსონალის მიერ ელექტრონული ჟურნალის ადმინისტრირება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტებისთვის უკუკავშირის და შეფასების შედეგების დროული მიწოდება.

რჩევები

-

საუკეთესო პრაქტიკები

- კოლეგიური შეფასებები პროგრამული აკრედიტაციის სიმულაციის ჭრილში, რაც საგრძნობლად ზრდის პროცესში ჩართული პირების მოტივაციას, ამკვიდრებს და აღრმავებს თანამშრომლობით გარემოს და ხელს უწყობს პროგრამების შემდგომ დახვეწა-განვითარებას.

4. გთხოვთ შეაფასოთ რამდენად იძლევა ინსტიტუციის აკადემიური/ადმინისტრაციული/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა (მათ შორის სტუდენტებისა და პერსოალის თანაფარდობა) და კვალიფიკაცია იმის შესაძლებლობას, რომ ინსტიტუციის მიერ ეფექტურად იქნას წარმათული საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესები, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში (გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა):

☒ ინსტიტუციის პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია იძლევა საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტრად განხორციელების შესაძლებლობას, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

☐ ინსტიტუციის პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია არ იძლევა საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტრად განხორციელების შესაძლებლობას, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

უნივერსიტეტში ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული საკითხების კოორდინირებას ახდენს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტი. უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორიცაა სამართლიანობა, თანასწორობა, გამჭვირვალობა, და დამსახურებაზე დაფუძნებული მიდგომა. პერსონალის მართვის პროცესში მნიშვნელოვანი პროცედურებია მოზიდვა/რეკრუტირება - შიგა და გარე წყაროების გამოყენებით. აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობებზე პერსონალის მოსაზიდად უმთავრესად გამოიყენება კონკურსის წესი. ინფორმაცია კონკურსის თაობაზე არის ღია და საჯარო. ინფორმაციის განთავსება ხდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ქვეყნდება გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“, ხოლო ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობაზე თანამშრომლის შერჩევა პირადი საქმის, უშუალო ხელმძღვანელის დასკვნის და სამუშაოსთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა ხდება კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საკონკურსო თანამდებობასთან შესაბამისობის მიხედვით. სამეცნიერო თანამდებობაზე არჩევისას მხედველობაში მიიღება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება, გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების - ინსტიტუტების სპეციფიკა სამეცნიერო- კვლევითი მიმართულებით. მასწავლებლების შერჩევა ასევე ხდება კონკურსის წესით. უნივერსიტეტში მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტს მოეთხოვება შესაბამისი კომპეტენციები. ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებლები ყოველ 4 წელიწადში ერთხელ გადიან ატესტაციას, რომლის მიზანია მასწავლებლის პროფესიული უნარების, კვალიფიკაციის, ჩატარებული სამუშაოს პერიოდული შეფასება.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უწყვეტი განათლების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრეინინგების/კურსების/სემინარების ორგანიზებას. პერსონალის განვითარებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უნივერსიტეტის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, კერძოდ, ასახულია მე-7 და მე-10 სტრატეგიულ მიზნებში.

პერსონალის მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს მიღებული თანამშრომლის იმ სტრუქტულ ერთეულებში წარდგენას, რომლებთანაც მას ყოველდღიური საქმიანი ურთიერთობა ექნება; ესაუბრება ახალ თანამშრომელს ორგანიზაციაზე, დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებზე, ღირებულებებზე, აცნობს ძირითადი სტრუქტურული ერთეულების სამუშაო სივრცეს. საჭიროების შემთხვევაში, ახალ თანამშრომელს გამოეყოფა გამოცდილი თანამშრომელი -

მენტორი, რომელიც აცნობს მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტებს, ეხმარება სამუშაო პროცესის ორგანიზებაში და ა.შ.

უნივერსიტეტის პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ყველა რეგულაცია არის საჯარო, ღია, გამჭვირვალე და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი ვებგვერდის, აგრეთვე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ საშუალებით.
უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები, რომელთა მიზანია უნივერსიტეტსა და მის აკადემიურ პერსონალს შორის ჩამოაყალიბოს ისეთი ურთიერთსასარგებლო შრომითსამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც, ერთი მხრივ, აკადემიურ პერსონალს მისცემს საშუალებას თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა აწარმოოს უნივერსიტეტის სახელით და, მეორე მხრივ, უნივერსიტეტს გაუჩენს ვალდებულებას, შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად შეუწყოს ხელი აკადემიურ პერსონალს თავისი შესაძლებლობების სრული რეალიზებისათვის. გარდა ამისა, აფილირებული პერსონალი აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტში სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, აქტიურად უწევს სტუდენტებს კონსულტაციებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობს მათ საკვალიფიკაციო ნაშრომებს და სხვ.
უნივერსიტეტში მოქმედებს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების წესი, რომლის მიზნებია: ა) პერსონალმა ზუსტად აღიქვას ის მოლოდინები, რაც უნივერსიტეტს მასთან მიმართებაში გააჩნია; ბ) პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა; გ) პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოვლენა, ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენა და სწორი მიმართულებებით განვითარება; დ) შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთ კმაყოფილების გაზრდა; ე) დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხის გაუმჯობესება.
დამხმარე პერსონალის (სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების გარდა) შეფასებას ახორციელებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი; თვითშეფასებას ახორციელებს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, მასწავლებლები და მოწვეული სპეციალისტები. შეფასების/თვითშეფასების მიზნებიდან გამომდინარე, თანამშრომელთა სამუშაოს შეფასება/თვითშეფასება ხორციელდება შესაბამისი კრიტერიუმებით, რომლებიც უშუალო კავშირშია სამუშაოს შესრულების ხარისხთან.
აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალის, მასწავლებლების და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ფორმა ივსება კალენდარული წლის მონაცემების საფუძველზე. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან და მისი დატვირთვიდან გამომდინარე შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციას ძირითადი სასწავლო საქმიანობის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, დამატებითი სასწავლო საქმიანობის, სერვისების და სხვა სახის საქმიანობის შესახებ.
აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალის, მასწავლებლების და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების შედეგებს განიხილავენ და აფასებენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების საბჭოები (ფაკულტეტის საბჭო/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) დ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენენ სამოქმედო გეგმას ძირითადი სასწავლო საქმიანობის, სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის, დამატებითი სასწავლო საქმიანობის, სერვისების და სხვა სახის საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით.
ინტერვიუების დროის გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტარციული, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რესურსი უზრუნველყოფს სტუდენტთა კონტინგენტის მატების შემთხვევაში მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას. ინტერვიუზე დამსწრე პირებმა დააფიქსირეს სტუდენტთა რიცხოვნობის ზრდის შემთხვევაში საქმიანობის შეუფერხებლად და ხარისხიანად შესრულების მზაობა.

უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობა რეგულირდება აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით 112/2013, ამასთან, სამეცნიერო დატვირთვა ფასდება პერსონალის მიერ შექმნილი სამეცნიერო პროდუქტის შეფასებით. დადგენილია სასწავლო წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის მიერ შესასრულებელი მინიმალური სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა, რომელიც განსაზღვრულია

კატეგორიების („ა“, „ბ“და „გ“) და ფაკულტეტების მიხედვით და ჩაშლილია აკადემიური პოზიციის შესაბამისად (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი). აკადემიური პერსონალს თანამდებობრივი სარგოს 50% ეძლევა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის განახლება ხდება ყოველსემესტრულად, პერსონალის მიერ შესაბამის სემესტრში ჩასატარებელი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების გათვალისწინებით.

აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან ადასტურების სტუდენტებისთვის სათანადო მომსახურების გაწევის შესაძლებლობას. აკადემიური პერსონალის თითქმის სრული შემადგენლობა აფილირებულია უნივერსიტეტთან.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იყოს სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემა, უნივერსიტეტი გაზრდის აკადემიური პერსონალის რაოდენობას საგანმანათლებლო პროგრამების და სტუდენტების რაოდენობის ზრდის შესაბამისად.

უნივერიტეტი, სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, მნიშვნელოვნად თვლის აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტებისთვის გაწეულ კონსულტაციებს, რისთვისაც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პედაგოგიურ დატვირთვაში გათვალისწინებულია ყოველკვირეული საკონსულტაციო საათების ჩატარება, რაც რეგულირდება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების მარეგულირებელი დოკუმენტებით. ფაკულტეტები, აკადემიური საბჭოს დადგენილებების შესაბამისად, უზრუნველყოფენ აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო საათების განრიგის შედგენას, გამოქვეყნებას და სტუდენტების ინფორმირებას. სტუდენტს შეუძლია ამ განრიგის მიხედვით მიიღოს ინდივიდუალური კონსულტაცია როგორც აკადემიურ, ისე პროგრამის ორგანიზაციულ მხარესთან დაკავშირებით პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების/კოორდინატორის ფუნქციებს განსაზღვრავს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა”. აკადემიური რეგისტრაციის პროცესში სისტემატურად ტარდება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის პრეზენტაცია, რომელსაც უძღვება პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. პრეზენტაციის დროს სტუდენტს შეუძლია დიალოგის რეჟიმში გაარკვიოს მისთვის საინტერესო დეტალები და მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია პროგრამასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელისგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის დადგენილება №101 „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №80/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- აფილირების წესი;
- პერსონალის შეფასების წესი;
- აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;
- პერსონალის შეფასების წესი;

- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების მარეგულირებელი დოკუმენტი;
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- ადამიანური რესურსების რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- თსუ-ს განაცხადის ანგარიში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

-

რჩევები

-

საუკეთესო პრაქტიკები

-

5. გთხოვთ შეაფასოთ რამდენად ეფექტურად განახორციელებს ინსტიტუცია სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებს სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში პირობებში (გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა):

☒ ეფექტურად განახორციელებს ☐ ეფექტურად ვერ განახორციელებს

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

უსდ -ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისთვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის , გარე და შიდა მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების და მიღებული განათლების აღიარების წესები. აღნიშნული დოკუმენტები არის გამჭვირვალე და შეესაბამება ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას. უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას. ხელშეკრულება რომელსაც აფორმებს სტუდენტი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დეტალურად მოიცავს აღნიშნულ საკითხებს. სტუდენტთა ცნობიერება საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების , მოვალეობების და უნივერსიტეტში არსებული გასაჩივრების წესის შესახებ საკმაოდ მაღალია, რაც ცხადი გახდა ინტერვიუს შედეგებითაც. აღნიშნული საკითხები დოკუმენტურად დადასტურებულია და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორც უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდის, ცხელი ხაზის, სოციალური ქსელების ,სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის საშუალებით და ა.შ .
უსდ სტუდენტებს უზრუნველყოფს მრავალფეროვანი მხარდამჭერი ღონისძიებებით. ინტერვიუებიდან ცხადი გახდა რომ თითოეული სტუდენტი სარგებლობს სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურებით, რომელიც არის ამომწურავი და დროული. ტარდება საორიენტაციო შეხვედრები რომლითაც უსდ ხელს უწყობს გაიზარდოს სტუდენტთა ცნობიერება საკონსულტაციო სერვისის შესახებ. უსდ ში ფუნქციონირებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერის სერვისი, რომელიც ამომწურავად აწვდის ინფორმაციას დაინტერესებულ მხარეს პროფესიული ორიენტაციის, დასაქმების შესაძლებლობის, სტაჟრების პროგრამების, პრაქტიკული კურსების

შესახებ. საუნივერსიტეტო დონეზე ტარდება მრავალი ღონისძიები აღნიშნული სერვისის წარმატებით ფუნქციონირებისთვის მაგ საინფორმაციო კამპანიის წარმოება; ტრეინინგები; საპილოტე კურსები; საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა; მონაწილეობა საინფორმაციო-სახელმძღვანელო მასალების შემუშავებაში; თანამშრომლობა პოტენციურ დამსაქმებლებთა; თანამშრომლობა სხვა უნივერსიტეტებთან, ბიზნეს ორგანიზაციებთან; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხარდაჭერა და სხვ. სტუდენტები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ რო სისტემატიურად იღებენ ინფორმაციას მეილის საშუალებით შესაძლო ვაკანსიების შესახებ. ასევე აქტიურად იღებენ კითხვარებში მონაწილეობას საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ.

უსდ-მ ჩაატარა სტუდენტების და დამსაქმებლების საჭიროების კვლევა და მიღებული შედეგების საფუძველზე გააფორმა მემორანდუმები სხვადასხვა კომპანიებთან (როგორც სახელმწიფო ასევე კერძო ინსტანციები) . უნივერსიტეტში ყოველწლიურად ეწყობა დასაქმების ფორუმები, ასევე სტუდენტები იღებენ ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებს რეზიუმეს (CV), სამოტივაციო წერილის და სხვა დოკუმენტების რედაქტირების, დამსაქმებელთან გასაუბრების, პროფესიული განვითარებისა და თვითგამორკვევის საკითხებზე.სტუდენტთა საკონსულტაციო ცენტრი, რომლის ძირითადი მიზანია შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა. სტუდენტთა საკონსულტაციო ცენტრი სტუდენტებს ეხმარება ფსიქოლოგიური პრობლემებისა და სწავლასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური სირთულეების დაძლევაში, კარიერის ეფექტური დაგეგმვისათვის საჭირო სოციალური და პრაქტიკული უნარების (დროის მართვა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის სტრატეგიები და სხვ.) შეძენაში; უწევს სტუდენტებს ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტირებას მათ პერსონალურ, სწავლასთან და კარიერასთან დაკავშირებულ პრობლემებზე; ატარებს სატრეინინგო პროგრამებს ინტერპერსონალური, კომუნიკაციური და პერსონალური უნარების გასაუმჯობესებლად; სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს პრაქტიკული ჩვევების ათვისებასა და ხელმძღვანელობას.

გაფორმებულია მრავალი ხელშეკრულება დამსაქმებლებთან.

თსუ ფლობს საკუთარ საუნივერსიტეტო კლინიკურ ბაზას რაც სტუდენტებს მისცემს საშუალებას მიიღონ თეორიული და პრაქტიკული ცოდნას.

საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებისა პროქტების შესახებ ქართველი სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ. აღსანიშნავია, რომ თსუ-ში 2018 წლის მონაცემებით ერაზმუს+ პროექტით დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში (საკრედიტო მობილობა ICM) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აჩვენა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 248 საგრანტო პროექტი საქართველოს უსდ-ებს შორის. სტუდენტური პროექტების შემუშავებისა და განხორციელების შესაძლებლობების თვალსაზრისით კი თსუ-ში 2018 წლიდან სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული სტუდენტური პროექტების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. სტუდენტური პროექტის წარდგენა შეუძლია თსუ ის აქტიური სტატუსის მქონე სამივე საფეხურის სტუდენტს ან სტუდენტთა ჯგუფს წელიწადში სამჯერ. 2018-2019 წლებში დაფინანსდა 301 პროექტი.

ინტერვიუს ერთერთი მიგნებაა გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის თანაბარი და ეფექტური მიწოდების საჭიროება. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის სოციალურ ქსელებში სიახლეები მხოლოდ ქართულ ენაზე იდება. სტუდენტები გამოთქვამენ თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ პროექტებში მონაწილეობის და ასევე თვითვმმართველობის წევრობის დიდ სურვილს. სტუდენტები საუნივერსიტეტო შენობებში არსებული სტუდენტური სივრცეების ნაკლებობას უსვამენ ხაზს. უსდ-ში მიღებული პრაქტიკული და თეორიული ცოდნა, კვლევით პროექტებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობები მათთვის სავსებით დამაკმაყოფილებელია. ინტერვიუს დროს ცხადი გახდა რომ სტუდენტთა საცხოვრებელი საკმაოდ კეთილმწოყობილი და ხელმისაწვდომია.

უნივერსიტეტში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის ადაპტაციის მიზნით სამშენებლო სამუშაოები რომელიც მოიცავს არამხოლოდ სტუდენტური სივრეეების მოწყობას არამედ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისვის ადაპტაციას. გარდა ამისა მიმდინარეობს საგამოცდო სისტემის გარდაქმნა ელექტრონულ სისტემად რომელიც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრს ინფორმაციის მიმოცვლა . დამუშავება მარტივად

განახორციელოს, ცხადია აღნიშული ფაქტი ხელსაყრელია სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის თვალსაზრისითაც. უნივერსიტეტში არსებობს რამდენიმე მექანიზმი სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდასაჭერად რაც ითვალისწინებს სწავლის საფასურის ეტაპობრივად გადახდის შესაძლებლობას, სასტიპენდიო სისტემას და აშ. უნივერსიტეტს მოცემული მომენტისთვის აქვს საკმარისი რესურსი სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში , მიაწოდოს სტუდენტებს არსებული სერვისები სრულყოფილას /ამომწურავად და ამადროულად კვლავ იყოს მიმართული განვითარებისკენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან (დანართი 26);
- სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის დებულება (დანართი 27);
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო
- პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესი (დანართი 28);
- უნივერსიტეტის რექტორთან განხორციელებული პირდაპირი ჩართვის ლინკები (დანართი 29).
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები

- სტუდენტების ჩართულობის გაზრდა თვითმმართველობის პროცესში;
- სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ეფექტურობის გაზრდა
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება/ ადაპტირება (სტუდენტური სივრცეების შექმნა, ადაპტირება სსსმ პირებისთვის).

რჩევები

-

საუკეთესო პრაქტიკები

-

6. გთხოვთ შეაფასოთ რამდენად უზრუნველყოფს ინსტიტუციის მატერიალური, საბიბლიოთეკო საინფორმაციო და ფინანსური რესურსები ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში პირობებში (გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა).

☐ სრულად უზრუნველყოფს ☐ ნაწილობრივ უზრუნველყოფს ☐ ვერ უზრუნველყოფს

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

თსუ-ს ფინანსური შემოსავლები სრულად დამოკიდებულია სტუდენტთა სწავლის საფასურის მხრიდან მიღებულ შემოსავლებზე. ექპერტთა ვიზიტის დროს გადამოწმდა უნივერსტეტის ბიუჯეტის მიმდინარე, წინა და მომავალი წლის ბიუჯეტები, უნივერსიტეტის მხიდან კონკრეტული, სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტი ზრდის დინამიკის შემოწმების მიზნით. ასევე, არსებული დოკუმენტების საფუძველზე, ჩანს რომ უნივერსიტეტს გააჩნია მატერიალური-ტექნიკური ბაზა, რომლითაც მას შეუძლია უზრუნველყოს სწავლების განზორციელება, არსებული ბაზების საფუძველზე. სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში უნივერსიტეტი გეგმავს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების

ბაების გამოყენებას, როგორც კვლევების განხორციელებისათვის, ასევე სასაწავლო პროცესის წარმართვისათვის. გარდა ამისა, უნივერსიტეტი აგრძლებს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ზრუნვას, რაც უკვე დაწყებული აქვს, კერძოდ, ეს ეხება სარეკრეაციო ადგილების მოწყობას და უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის გარემონტებას, მიმდინარე მდგომარეობით.
უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის მუდმივ განახლებას, რასაც დოკუმენტურად ადასტურებს. ბიბლიოთეკის თანამშრომლები სტუდენტებს და ბიბლიოთეკით დაინტერესებულ პირებს აწვდიან ინფორმაციას და უტარებენ ინსტრუქტაჟს როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე მოცემული სერვისის სწორი გამოყენების შესახებ. (საორიენტაციო შეხვედრები, ბუკლეტები ბიბლიოთეკის სერვისებით სარგებლობის შესახებ.) სტუდენტები აღნიშნავენ ელექტორონული როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით სარგებლობის ფართო შესაძლებლობებს. უსდ წარმოადგინა ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით სარგებლობის გამოყენების სტატისტიკა მზარდი მაჩვენებლით. საბიბლიოთეკო რესურსების უზრუნველყოფასა და განვითარებაზე გამოყოფილი ბიუჯეტის დინამიკა ბოლო 5 წლის განმავლობაში სტაბილურია.
თსუ-ში ნაშრომების შემოწმება ხდება სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, თუმცა ინტერვიუებიდანაც იკვეთება, რომ მეტი სამუშაოებია ჩასატარებელი სტუდენტების მიერ შესრულებულ ნაშრომებში პლაგიატის დადგენისა და პრევენციის მექანიზმების სრულად დანერგვის უზრუნველსაყოფად.
წარმოდგენილი დოკუმენტების, მატერიალური, ადამიანური რესურსების და ინტერვიუს საფუძველზე საბიბლიოთეკო რესურსი საკმარისია უსდ-ს კონტიგენტის ზრდისთვის.
უნივერსიტეტს აქვს მოქმედი ელექტრონული სისტემები, რომლითაც სხვადასხვა მხარეები სარგებლობენ, მათ შორის არის სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემა, რომლის დახვეწა / განვითარება მონაცემების მდგრადობის თვალსაზრისით აუცილებელია. აქ იგულისხმება საგამოცდო სისტემის ციფრულ ფორმატში გადაყვანა, როგორც პროცესების ავტომატიზაციის თვალსაზრისით, ასევე რესურსების დაზოგვის მიზნით და ეკოსისტემაზე ზრუნვის მიზნით, რაც თავისთად უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ინდივიდუალური განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ-ს ბიუჯეტი;
- შენობა-ნაგებობების მისამართები;
- სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები წიგნადი ფონდის შესყიდვაზე **(დანართი 35);**
- სამეცნიერო ბაზების გამოყენების სტატისტიკა **(დანართი 36);**
- საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების შესახებ საინფორმაციო ინგლისურენოვანი ბუკლეტი **(დანართი 37).**

რეკომენდაციები

- სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემის განვითარება მონაცემების მდგრადობის თვალსაზრისით, ასევე რესურსების დაზოგვის მიზნით და ეკოსისტემაზე ზრუნვის მიზნით, რას ასევე უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ინდივიდუალური განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას;
- სტუდენტების მიერ შესრულებულ ნაშრომებში პლაგიატის დადგენისა და პრევენციის მექანიზმების სრულად დანერგვის უზრუნველყოფა.

რჩევები

-

საუკეთესო პრაქტიკები